ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

შრომის პირობების ინსპექტირების შედეგების დახურულობა

მიმოხილვა მომზადებულია
“ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)”-ის მიერ
პროექტ „აქცენტი მძიმე ინდუსტრიაზე: ჭიათურის მაგალითი“ ფარგლებში,
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან
თანამშრომლობით.

შრომის პირობების ინსპექტირების შედეგების დახურულობა

2012 წელს ხელისუფლების ტრანზიციის შემდეგ, ახალი სამთავრობო გუნდის გაცხადებული პოლიტიკიდან გამომდინარე, გაჩნდა სრულად დერეგულირებული შრომის პოლიტიკის გადახედვისა და უფლებადამცავი მექანიზმების შექმნის მოლოდინი, რასაც შრომითი უფლებების დარღვევის მასშტაბები და სიმძიმე უნდა შეემცირებინა.[1] აღნიშნულის საპასუხოდაც, ახალმა სამთავრობო გუნდმა შრომისა და დასაქმების სფეროში რიგი რეფორმები გაატარა.

რეფორმების ფარგლებში 2015 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელმაც საქმიანობა მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის[2]“ ფარგლებში დაიწყო. აღნიშნული პროგრამა მოიაზრებს შრომის პირობების ინსპექტირების განხორციელებას სამუშაო ადგილებზე და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებას შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით.

გარდა იმისა, რომ დეპარტამენტს არ მიენიჭა შრომის პირობებისა მონიტორინგისა და უფლების დაცვის ეფექტური აღსრულებითი მექანიზმები, მისი მუშაობის ეფექტურობის გაზომვას შეუძლებელს ხდის დეპარტამენტის საზედამხედველო საქმიანობის დახურულობა. კერძოდ, „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ თანახმად[3], მონიტორინგის შედეგად მიღებული ანგარიშები/დასკვნები და რეკომენდაციები არასაჯაროა, რაც გულისხმობს დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევებისა და გაცემული რეკომენდაციების ავტომატურ დასაიდუმლოებას. დეპარტამენტის საქმიანობის დახურულობის ამგვარი რეგულაცია წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ხელს უშლის შრომის უფლებების დაცვისა და რეალიზების პრაქტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ზომების ეფექტურობის შეფასებას.

[1] EMC-ის ინფოგრაფიკა „საწარმოო ტრავმებით დაშავებულ და გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობა“ http://emc.org.ge/2016/02/27/emc-10/

[2] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის # 38 დადგენილება „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

[3] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის # 38 დადგენილება „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“; მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

1 ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ყველა ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტს, რომლის თანახმადაც, ყველა მოქალაქე უფლებამოსილია ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტაციაზე, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.[4] ანალოგიურ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც (შემდგომში-ზაკ-ი/კოდექსი) და საჯაროდ მიიჩნევს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.[5]

საქართველოს მთავრობის დადგენილება „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ბლანკეტურად ადგენს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და გაცემული რეკომენდაციების თაობაზე (ნებისმიერი) ინფორმაციის არასაჯაროობას, წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ სტანდარტთან, რომელიც ადგენს ინფორმაციის ღიაობის პრეზუმფციას და მისგან საგამონაკლისო შემთხვევებს. ინსპექტირების დეპარტამენტიდან შესაბამისი რეკომენდაციების გამოთხოვის დროს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი საკანონმდებლო აქტებით, სათანადო ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით შეაფასოს კონკრეტული ინფორმაციის შინაარსობრივი თავსებადობა ინფორმაციის დახურულობის სტანდარტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება მისი დახურულობისა თუ ღიაობის შესახებ.

2 ინფორმაციის კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის წესი და პროცედურა

საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის დახურულად ცნობა არ არის ავტომატური პროცესი. ინფორმაციის დახურულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ინფორმაცია შინაარსით მიეკუთვნებოდეს დახურული ინფორმაციის რომელიმე კატეგორიას და მიჩნეულ იქნეს ასეთად ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი წესით/პროცედურით.[6]

---

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 41, ნაწილი 1.

[5] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი.

[6] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28.

კომერციულ სუბიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დახურვის სტანდარტი და პროცედურა

შრომის პირობების ინსპექტირების განხორციელების პროცესში, როდესაც საქმე შესაძლოა გვქონდეს კერძო სუბიექტთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან, სავარაუდოდ, ნორმატიული აქტის მიზანი კერძო სუბიექტებთან მიმართებით კომერციული ინფორმაციის დაცვას უკავშირდება. დოკუმენტის ამ ნაწილში ინსპექტირების დეპარტამენტში დაცული ინფორმაციის დახურულობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შეფასებას, კომერციული საიდუმლოების სამართლებრივი რეგულირების ჭრილში განვიხილავთ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის ინფორმაცია მიეკუთვნება კომერციულ საიდუმლოს და ჩამოთვლის ამგვარი ინფორმაციის ფორმებს და შინაარსს. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსობრივად, კომერციულ ინფორმაციად შეიძლება მიჩნეული იქნეს არა ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია კერძო სუბიექტთან, არამედ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელსაც კერძო სამართლის სუბიექტისათვის განსაკუთრებული კომერციული მნიშვნელობა გააჩნია, აგრეთვე ისეთი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს და ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.[7] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ინფორმაციის გავლენის შესწავლა კონკურენტუნარიანობაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევისათვის.[8] შესაბამისად, აუცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესწავლილ იქნას იმ ინფორმაციის შინააარსი, რომლის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი დგას და მხოლოდ ამის შემდეგ შეფასდეს, აქვს თუ არა მას კომერციული ღირებულება. ისეთ შემთხვევაში თუ მიღებული რეკომენდაციების ცალკეული მონაკვეთები შეიცავს საწარმოს შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელიც კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურის შესაბამისად მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოებად, სახელმწიფოს კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას, ამ შინაარსის მატარებელი ინფორმაცია გამოაცალკევოს[9] ღია ინფორმაციისაგან და ისე გასცეს დასაქმებულსა თუ სხვა დაინტერესებულ პირზე.

ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოება, არ შეესატყვისება კომერციული ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს, რამდენადაც კოდექსი მოითხოვს ასეთი ინფორმაცია გასაიდუმლოებული იქნას მხოლოდ ინფორმაციის წარმდგენი პირის მოთხოვნის საფუძველზე და მხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეფასების შემდეგ, სათანადო პროცედურის დაცვის გზით.[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში[11] პირდაპირ განმარტავს: *„ავტომატურად ინფორმაციის გასაიდუმლოებას (საქართველოს კონსტიტუციის) 41-ე მუხლის*

---

[7] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27^2 ნაწილი 1.

[8] იხ. 2003 წლის 16 ოქტომბრის №ბს-102-289-კ-03 განჩინება

[9] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 33.

[10] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27^2 ნაწილი 3.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის N2/3/406,408 გადაწყვეტილება:

პირველი პუნქტი არ გულისხმობს. რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო ან კომერციულ და აქედან გამომდინარე, პროფესიულ საიდუმლოებას, ეს წინასწარი შეფასების საკითხია. გასაიდუმლოებისათვის საჭიროა პროცედურების გავლა, რაც დადგენილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით". საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით დადგენილ განმარტებას კომერციული საიდუმლოების თაობაზე და აღნიშნავს[12]: *„განსხვავებით პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული რეგულაციისა, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებელია პირის გამოხატული ნება, იმისათვის, რომ სზაკ-ის $27^2.1$ მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას მიენიჭოს კომერციული საიდუმლოების სტატუსი".*

აქედან გამომდინარე, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს ადმინისტრაციული ორგანო თავად იმ პირის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე ვის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა არა ავტომატურად, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი შეფასების შედეგად, სათანადო პროცედურების დაცვის გზით.

საჯარო დაწესებულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დახურვის სტანდარტი და პროცედურა

კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს მიიჩნევა ადმინისტრაციულ ორგანოდ[13] და მათზე ვრცელდება ზაკ-ით განსაზღვრული ინფორმაციის თავისუფლების თავის მოქმედება. კოდექსი, ინფორმაციის თავისუფლების კუთხით ღიაობის მაღალ სტანდარტს აწესებს, რამდენადაც ინფორმაციის გამჭვირვალობის სტანდარტებს ადმინისტრაციულ ორგანოთა გაცილებით ფართო წრეზე ავრცელებს, განსხვაებით თავად კოდექსის მოქმედების ძალისა, რომელიც რიგ შემთხვევაში შეზღუდულია. [14]

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2015 წლის განმავლობაში განახორციელა 63 საწარმოო ორგანიზაციის 101 ობიექტის შემოწმება, რომელთაგან 7 მათგანი სახელმწიფო შპს-ს წარმოადგენდა. გეგმის მიხედვით დეპარტამენტს ასევე უნდა შეემოწმებინა ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. როგორც აღინიშნა, კანონით დადგენილი წესით საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო სამართლის სუბიექტები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს[15], ხოლო შრომის პირობების

---

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება ბს-527-518 (კ-12)

[13] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,მუხლი 3, პუქტი 1.

[14] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 2.

[15] ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე. (საია, 2010 წელი. გვ 15-20);

ინსპექტირების დეპარტამენტი ამ ორგანიზაციების შემოწმების შედეგად გამოსცემს ავტომატურად არასაჯარო რეკომენდაციებს, რითაც ხურავს ინფორმაციას, ადმინისტრაციულ ორგანოებში იდენტიფიცირებული შრომითი დარღვევების თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენსადმინისტრაციული ორგანოების შესახებ არსებული ინფორმაციის ღიაობის სტანდარტს გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა[16], რასაც თავისთავად ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის დახურულობის პრეზუმპციის დამდენი წესი. ამასთან, მნიშვნელოანია რომკანონი ცალსახად გამორიცხავსადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არსეული ინფორმაციის მიჩნევას კომერციულ საიდუმლოებად[17], რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მას გააჩნდეს კომერციული შინაარსის საიდუმლო ინფორმაცია.

შრომის პირობების მონიტორინგის სამთავრობო პროგრამის მიზანი სახელმწიფო ორგანიზაციების შრომის პირობების ინსპექტირების შედეგების გასაიდუმლოებისას, შესაძლოა უკავშირდებოდეს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას, რაც არსებული ფორმით ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნების პროცედურა და ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხი განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით“, რომლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადების კანონით დადგენილი წესი, სრულიად გამორიცხავს ადმინისტრაციულ ორგანოსთან არსებული ინფორმაციის ავტომატურ გასაიდუმლოებას. კანონით დადგენილი წესით, ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნევისათვის აუცილებლია, სახეზე გვქონდეს კონკრეტულ სახელმწიფო მმართველობას მიკუთვნებული სფეროს შესახებ ინფორმაცია და ის გასაიდუმლოებული იქნას, კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით;

სახელმწიფო საიდუმლოება შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი სპეციფიური ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის გარკვეულ სფეროებს (სახელმწიფო თავდაცვა, ეკონომიკა, საგარეო ურთიერთობები, დაზვერვა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში არსებული მონაცემები). კანონი არამხოლოდ განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის კონკრეტულ სფეროებს, არამედ უშუალოდ მიუთითებს ინფორმაციის ფორმებსა და დოკუმენტაციაზე, რომლის გასაიდუმლოებაც დასაშვებია მმართველობის ამ სფეროში[18]. კანონით განსაზღვრულ სფეროს მიკუთვნებული და შესაბამისი ფორმის მქონე ინფორმაცია შესაძლებელია გახდეს სახელმწიფო საიდუმლო იმ შემთხვევაში, თუ მისი აღრიცხვა მოხდება მთავრობის მიერ დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოთა ნუსხაში.

გარდა აღნიშნულისა, კანონი მოითხოვს, რომ ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოს, წინასწარ იყოს დასაიდუმლოებული ან მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოებად, კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი

[16] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28, პუქნტი 1.
[17] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27[2], პუნქტი 2.
[18] იქვე, მუხლი 6.

წესით. ინფორმაციის საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურა[19] დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ და მისი განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილ პირებს.[20] აღნიშნული პროცედურა ხორციელდება ინფორმაციისათვის შესაბამისი საიდუმლოობის გრიფის მინიჭების მეშვეობით. საიდუმლო გრიფები, ინფორმაციის შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხს განსაზღვრავს და შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას სათანადო სტანდარტით იცავს. ინფორმაციის მნიშვნელობის ხარისხი კი იმ შესაძლებელი ზიანის შეფასებით დგინდება, რასაც აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ან დაკარგვა გამოიწვევდა. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო უსაფრთხოების მართლწესრიგის, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების, სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ინტერესებზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოდ.

ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ავტომატურად არასაჯაროდ მიჩნევით, დადგენილება კანონით განსაზღვრული გამჭვირვალობის სტანდარტის საწინააღმდეგოდ საიდუმლოდ მიიჩნევს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საიდუმლო ინფორმაციისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, არ მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოდ ინფორმაციის მიჩნევისათვის შესაბამის სფეროს. გარდა ამისა, ავტომატურად, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი სახელმწიფო ინფორმაციის დასაიდუმლოების კომპლექსური პროცედურის გვერდის ავლით ხურავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რითაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს და ქმნის გაუმართლებელ დაბრკოლებას დაწესებულებიდან ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლების რეალიზაციისას.

[19] საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ა.ა.

3 დახურული ინფორმაციის გასაჯაროების შესაძლებლობა მის მიმართ არსებული მომეტებული საჯარო ინტერესის გამო

იმ შემთხვევაშიც კი თუ ინსპექტირების შემოწმების შედეგები და გამოვლენილ დარღვევებზე გაცემული რეკომენდაციები კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და წესის შესაბამისად მიჩნეული იქნა კომერციულ, ან სახელმწიფო საიდუმლოებად, მისი ღიაობის ლეგიტიმური და კანონიერი საფუძველი, მაინც შეიძლება გაჩნდეს ასეთი ინფორმაციის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გარდაცვალებისა და დაშავების საგანგაშო სტატისტიკა, ასევე, დასაქმებულთა მძიმე შრომის პირობები საზოგადოებაში მუდმივი განხილვისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. სხვადასხვა საწარმოები და იქ არსებული დასაქმების პირობები სისტემატურად და კრიტიკულად განიხილება სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ფორუმებზე. ბოლო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა საწარმოში მიმდინარე გაფიცვებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა შრომის პირობების მასიური დარღვევები და ამ დარღვევების გამოვლენის პროცესში არსებული გამოწვევები. აშკარაა, რომ ამა თუ იმ საწარმოში განხორციელებული ინსპექტირების შედეგები, აღმოჩენილი დარღვევები და სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს მომეტებული საჯარო ინტერესის საგანს ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის ღიაობის ღირებულება ბევრად აღმატებულია მისი საიდუმლოდ შენახვის ინტერესზე.

საჯარო ინტერესის ტესტს განამტკიცებს არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი და სამართლებრივი სისტემა, რომელიც სავალდებულო ძალის მქონეა საქართველოსთვის. კერძოდ, ოფიციალურ დოკუმენტებთან ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის საბჭოს # 205 კონვენციის თანახმად, რომელის რატიფიცირებაც საქართველომ 2009 წლის 18 ივნისს მოახდინა, იმ ინფორმაციასთან წვდომა, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მესამე პირის ინტერესებს შეიძლება შეიზღუდოს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამხელა ემსახურება უფრო მაღალ, საჯარო ინტერესის დაცვას.[21] აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დახურულმა ინფორმაციამ, მისი საჯაროობის საკითხის გადაწყვეტისას, უნდა გაიაროს საზოგადოებრივი ინტერესის ტესტი, რომლის წესს აღნიშნული დოკუმენტი თავად ადგენს.

[21] ევროსაბჭოს ოფიციალურ დოკუმენტებტან წვდომის # 205 კონვენცია. მუხლი 3, ნაწილი 2. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680084826

განსაკუთრებით დაუშვებელია, სახელმწიფოს მიერ ინსპექტირებას დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები და ინსპექტირების შედეგები, ავტომატურად დახურული იყოს როგორც ამ საწარმოს დასაქმებულთათვის, ასევე დასაქმებულთა გაერთიანების, პროფესიული კავშირებისათვის, რამდენადაც ეს მნიშვნელოვად უშლის ხელს დასაქმებულებს, მიიღონ სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია იმ საკითხებზე, რაც უშუალოდ მიემართება მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შრომის პირობებსა, თუ ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

საჯაროობის სტანდარტის გააზრებისა და მისი სათანადო იმპლემენტაციისათვის, მნიშვნელოვანია, ცალკე გამოვყოთ საწარმოს შემოწმებისას მიღებული დასკვნების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვისაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება[22], რომელშიც სასამართლომ ხაზი გაუსვა, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური დარაჯის ფუნქციას, განმარტავს, რომ ასეთი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები უპირობოდ საჭიროებენ წვდომას ისეთ ინფორმაციასთან, რომელსაც მომეტებული საჯარო ინტერესით აკვირდება საზოგადოება და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სასამართლო სოციალური მოვლენების სადარაჯოზე მყოფ არასამთავრობო ორგანიზაციებს ადარებს მედიას, რომელიც ახორციელებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ლეგიტიმურ შეგროვებას. ამ პირობებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობით, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა უტოლდება ცენზურას.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, იმსჯელოს და შეაფასოს საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და ამ ინფორმაციის ღიაობის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამასთან, დამატებით მხედველობაში შეიძლება მიიღოს ინფორმაციის მომთხოვნი სუბიექტი და მისი მიზნები, რომელიც მოწოდებულია, დაინტერესებული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფისაკენ.

მხოლოდ საჯაროობისა და გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტის შენარჩუნების პირობებშია შესაძლებელი შრომის უფლებების დაცვისა და რეალიზების გამოცდილების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი და სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ზომების ეფექტურობის შეფასება.

[22] Társaság a Szabadságjogokért v Hungary [2009] ECHR 37374/05 (Second Section, 14 April 2009).

4 ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მიღებული რეკომენდაციების გასაიდუმლოების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციები

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საჯაროობის არსებული წესის საქართველოს საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ასევე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მუშაობაზე ჯეროვანი საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად, აუცილებლად მივიჩნევთ შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

- შეიცვალოს 2015 წლის 5 თებერვლის # 38 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და გაცემული რეკომენდაციების ღიაობა დაექვემდებაროს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით რეგულირებულ წესსა და პირობებს;
- ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებსა და გაცემულ რეკომენდაციებზე წვდომა უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებული პირებისა და პროფესიული კავშირებისათვის.